

**რუსეთის იმპერიის ქართული მიწებიდან
1877-1882 წლებში ოსმალეთში გადასულ
მუჰაჯირთა რეალური ისტორია
(ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების
დღევანდელი თვითაღქმა თურქეთში)**

ტარიელ ფუტყარაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
თბილისი. საქართველო

მიხეილ ლაბაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
თბილისი. საქართველო

ფეფი ჩელეგი

დუზჯეს უნივერსიტეტი
დუზჯე. თურქეთი

აბსტრაქტი

ტერმინი „მუჰაჯირი“ წარმოდგება არაბული მასდარიდან **ჰიჯრა[თ]**, რაც ქართულად ნიშნავს „გადასახლებას, საცხოვრებელი ადგილიდან აყრას“. XIX საუკუნეში კავკასიის მკვიდრ მუსლიმანთა ოსმალეთში გადასახლების იდეა მომგებიანი აღმოჩნდა როგორც რუსეთისთვის, ისე – ოსმალეთისთვისაც: რუსებს სჭირდებოდათ მუსლიმანებისგან გათავისუფლებული ტერიტორია, ოსმალები კი დაინტერესებულნი იყვნენ სულთანის ერთგული მუსლიმანური მოსახლეობით, რომელსაც შემდგომ დაასახლებდნენ ოსმალეთის ცენტრალურ რეგიონებში არამუსლიმან ხალხთა (ბერძენთა, ბულგარეთთა, სომეხთა...) ნაცვლად, ან კიდევ – მაკედონიაში, ბულგარეთსა თუ პალესტინაში, რომ იქ გაენეიტრალებინათ ოსმალური ოკუპაციის მოწინააღმდეგე ადგილობრივი ხალხები.

რუსულ-ოსმალური ინტერესების დამთხვევის გამო, ჩრდილო კავკასიაში მუჰაჯირობის პროცესი თავიდანვე დიდი გაქანებით დაიწყო და მალევე მოიცვა თითქმის მთელი ჩრდილო-დასავლეთი კავკასია – სოჭიდან ანაპამდე და ოსეთამდე. ჩერქეზეთის ნავსადგურებში მდგარ ოსმალურ გემებზე რუსები ხალხს ძალით ერეკებოდნენ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ზღვიდან მოშორებით მდებარე სოფლებიდან გამორეკილ მთიელთა ნახევარზე მეტი გზაშივე დაიღუპა.

1867-1870 წლებში მუჰაჯირობის პროცესი გავრცელდა ასევე იმხანად რუსეთის უღელქვეშ მოქცეულ საქართველოს ტერიტორიაზე; 1867 წლის აფხაზეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რუსებმა ოსმალეთის იმპერიაში

ძალით გაასახლეს მისი მონაწილენი. ძირითადად, ესენი იყვნენ წებელდის და გუმის მკვიდრნი – როგორც აფხაზები, ისე ქართველები (მეგრელები და ლაზები); რწმენას რაც შეეხება: გასახლებულთა უმეტესობა ნომინალურად კი აღიარებდა ისლამს, მაგრამ მათ შორის საკმაოდ იყვნენ აფხაზური წარმართობის მიმდევრები და ქრისტიანებიც.

1877-1878 წწ. ოსმალეთთან ომში რუსეთის გამარჯვებამ მშობლიური ადგილების მიტოვება არა მარტო სულთნის მომხრე აფხაზ და ჩრდილოკავკასიელ მუსლიმანებს აიძულა, არამედ – ოსმალეთის აწ უკვე ყოფილ ქვეშევრდომებსაც, რომლებიც რუსებისადმი გადაცემულ (ან ოსმალთაგან გათავისუფლებულ) მიწებზე სახლობდნენ, იძულებულნი გახდნენ, იმპერიის შიდა ვილაიეთებში გადასულიყვნენ. იმხანადაც ოსმალური და რუსული ინტერესები ერთმანეთს სრულებით დაემთხვა: სანკტ-პეტერბურგს ესაჭიროებოდა მუსლიმანებისგან დაცლილი ტერიტორია, ხოლო სტამბოლს – სულთნის ერთგული მუსლიმანური მოსახლეობა.

საკვანძო სიტყვები: ქართველი მუჰაჯირები, რუსეთის იმპერია, ოსმალეთის იმპერია, დეპორტაცია.